



COUNCIL OF EUROPE CONSEIL DE L'EUROPE

ევროპის საბჭო

ვოლდემარ მარტინიუკი

ენობრივი კომპეტენციების ევროპული სტანდარტები

წინასწარი კვლევა

ბანათლების ენები

ბამონცემლობა „საიმელო“
თბილისი, 2008

Language Policy Division

DG IV – Directorate of School, Out-of-School and Higher Education

Council of Europe, Strasbourg

ენობრივი პოლიტიკის განყოფილება

IV განყოფილება - ევროპის საბჭოს სკოლის, სკოლის შემდგომი და უმაღლესი განათლების დირექტორატი, სტრასბურგი

www.coe.int/lang

ნაშრომი ითარგმნა ევროპის საბჭოს ენობრივი პოლიტიკის განყოფილებისა და „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორის ურთიერთობების ცენტრის“ ერთობლივი პროექტის („კონცეპტუალური მასალის თარგმნა მულტილინგუური სწავლების ხელშესაწყობად“) ფარგლებში.

თარგმანი თინათინ ეხანოიძისა

რედაქტორი: ვლადიმერ კიკილაშვილი

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილი მიდგომა არ წარმოადგენს ევროპის საბჭოს ოფიციალურ პოლიტიკას.

ნაშრომის თარგმანი შეთანხმებულია ევროპის საბჭოს სკოლის, სკოლის შემდგომი და უმაღლესი განათლების დირექტორატთან (F-67075 სტრასბურგი CEDEX).

კვლევის ხელახალი გამოცემა ნებადართულია მხოლოდ არაკომერციულ მიზნებისათვის და წყაროში მითითებული პირობების გათვალისწინებით.

თარგმანი განხორციელდა ევროპის საბჭოს ენობრივი პოლიტიკის განყოფილების ფინანსური მხარდაჭერით.

© ევროპის საბჭო, 2003

© გამომცემლობა „საიმილო“, 2008

**გამომცემლობა „საიმილო“
თბილისი, 2008**

**ენობრივი კომპეტენციების ევროპული
სტანდარტები**

ვოლდემარ მარტინიუკი
ჯაგეილანიანის უნივერსიტეტი, პოლონეთი

შიდასამთავრობო კონფერენცია

განათლების ენები: ენათა ფლობის ზოგადევროპული
კონპეტენციებისკენ

16-18 ოქტომბერი, 2006 სტრასბურგი

შინაარსი

შესავალი	5
1. გამოყენებული ლიტერატურა:	6
2. განხილული საკითხები	6
3. ენათა ფლობის ზოგადევროპული კომპეტენციები (CEFR)	7
3. 1. ენათა ფლობის ზოგადევროპული კომპეტენციების დესკრიფციული სკალა	8
3. 2. ენის ფლობის კომპეტენციები და უნარები (ენის პროფესიული ფლობის დონე)	10
4. სტუდენტთა საერთაშორისო შეფასების პროგრამა (PISA)	13
4. 1. PISA - ცოდნის განმარტება	15
4. 2. PISA - კითხვის უნარების ფლობა	15
4. 3. კითხვის უნარების დონეები	16
5. კვალიფიკაციის ევროპული პროგრამა	18
5. 1. კვალიფიკაციის ევროპული პროგრამა – ელემენტები	20
5. 2. კვალიფიკაციის ევროპული პროგრამა - დონეები და სკალები	21
5. 3. კვალიფიკაციის ევროპული პროგრამა - ძირითადი კომპეტენციები	21
6. შედარებითი ანალიზი	24
7. დასკვნა	25

შესავალი

უკანასკნელი წლების განმავლობაში ენათა ფლობის კომპეტენციების დეტალური აღწერა არაერთხელ გამხდარა მრავალი მნიშვნელოვანი პროექტის მთავარი საგანი, რომელთაგან აღსანიშნავია სტუდენტთა საერთაშორისო შეფასების პროგრამა (PISA), ევროპული კვალიფიკაციის პროგრამა, რომელიც შემუშავდა ევროკომისიის პროგრამის „განათლება და ტრენინგი 2010“ ფარგლებში და ენის ფლობის ზოგადევროპული კომპეტენციები (CEFR). თითოეული პროგრამის მიზანს ენათა ფლობის კომპეტენციების აღწერა წარმოადგენს:

PISA - კითხვის უნარების ფლობა (მშობლიურ ენაზე), მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო საგნების ცოდნა მშობლიურ ენაზე;

EQF - უწყვეტი განათლების მისაღებად აუცილებელი კომპეტენციების ფლობა (კომუნიკაცია მშობლიურ ენაზე, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო საგნების საფუძვლების ფლობა; ელექტრონული, სწავლის სწავლა, პიროვნებათშორისი და სამოქალაქო კომპეტენციები, კულტურული ასპექტები);

CEFR - უცხო ენების გამოყენების/სწავლის დესკრიფციული სქემები და სკალები

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია შედარებითი კვლევა, რომელიც განიხილავს ზემოთხსენებული სამი პროექტის ფარგლებში გამოყენებულ მიდგომებსა და დესკრიფციულ პარამეტრებს.

დაბოლოს, საზგასმით უნდა აღინიშნოს ამ სამი პროექტის შედეგების შესაბამისობა ენათა ფლობის ზოგადევროპულ კომპეტენციებთან და მათი მნიშვნელობა სასკოლო განათლებისათვის.

1. გამოყენებული ლიტერატურა:

- Council of Europe, 2001: Common European Framework of reference for Languages: Learning, teaching, assessment;
- OECD, 2003: The PISA 2003 Assessment Framework (OECD 2003)¹;
- Commission of the European Communities, 2005: Towards a European Qualifications Framework for Lifelong Learning, SEC (2005) 957 (EC 2005a)²;
- Commission of the European Communities, 2005: Proposal for a recommendation of the European Parliament and of the Council on key competences for lifelong learning, COM (2005) 548 (EC 2005b)³;
- Commission of the European Communities, 2005: Proposal for a recommendation of the European Parliament and of the Council on the establishment of the European Qualifications Framework for lifelong learning, COM (2006) 479 (EC 2006)⁴.

2. განხილული საკითხები

წარმოდგენილ ნაშრომში განხილული პროექტები ფოკუსირებას ახდენს შემდეგ მიმართულებებზე:

- ფუნქცია;
- მიდგომა;
- პარამეტრები/აღწერის კატეგორიები;
- დესკრიპტორები;
- დონეები.

¹ www.coe.int/lang

² www.pisa.oecd.org/document/29/0,2340,en_32252351_32236173_33694301_1_1_1_1,00.html

³ www.ec.europa.eu/education/policies/2010/doc/keyrec_en.pdf

⁴ www.ec.europa.eu/education/policies/educ/eqf/index_en.html

3. ენათა ფლობის ზოგადევროპული კომპეტენციები (CEFR)

ევროპაში ენების სწავლებისა და სწავლის თანმიმდევრული მეთოდების დანერგვისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, ევროპის საბჭოს საერთაშორისო სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა ენათა ფლობის ზოგადევროპული კომპეტენციები. ოფიციალურად ეს დოკუმენტი გამოქვეყნდა 2001 წელს⁵ - ენების ევროპულ წელს. გარდა ორი ოფიციალური ვერსიისა - ინგლისურ და ფრანგულ ენებზე - აღნიშნული დოკუმენტი ითარგმნა 34 ენაზე (დოკუმენტი თარგმნილია ქართულ ენაზეც – რედაქტორის შენიშვნა). დამატებითი ვერსიები შემუშავების პროცესშია.

დოკუმენტი შედგება ორი ნაწილისაგან:

- *აღწერითი* (დესკრიფციული) სკალა, როგორც ენის გამოყენების, სწავლებისა და სწავლის პროცესის აღწერის საშუალება. აღნიშნული სკალის პარამეტრებია: უნარ-ჩვევები, კომპეტენციები, სტრატეგიები, აქტივობები, საქმიანობის სფერო, ენის გამოყენების განმსაზღვრელი წინაპირობები და დაბრკოლებები;
- ენათა ფლობის ზოგადევროპული კომპეტენციების სისტემა შედგება დესკრიპტორთა ილუსტრირებული სკალისაგან და წარმოადგენს დესკრიფციული სკალების სხვადასხვა პარამეტრებისათვის ენათა ფლობის დონეების გლობალურ და დეტალურ სპეციფიკაციებს. ენათა ფლობის ზოგადევროპული სკალის საფუძველს „*შემიძლია გაგაკეთო*“ დესკრიპტორი წარმოადგენს.

ენათა ფლობის ზოგადევროპული კომპეტენციების (CEFR) ხელშეწყობით, ენების შემსწავლელებს, მასწავლებლებს, გამომცდელებს, ადმინისტრატორებს, ენის პოლიტიკაზე მომუშავე პირებსა და საგანმანათლებლო დაწესე-

⁵ Common European Framework of Reference for Languages : Learning, Teaching, Assessment, Cambridge University Press 2001. Online www.coe.int/lang

ბულებებს შესაძლებლობა ეძლევათ, ენების შესწავლის პროცესში წარმატებით გამოიყენონ ენების შესწავლის ზოგადევროპული პროგრამა. ილუსტრირებულ დესკრიპტორთა გამოყენება ხელს შეუწყობს ენის თვითშესწავლას (მშობლიური ენის უნარების შემეცნების გაზრდა და შემსწავლელის მიერ განსახორციელებელი სტრატეგიული აქტივობები). ევროპულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობისა და ენათა კვალიფიკაციების ორმხრივი აღიარების საფუძვლების შექმნის მიზნით, ენათა ფლობის ზოგადევროპული კომპეტენციების გამოყენება ასევე შესაძლებელია საგამოცდო კრიტერიუმების დაგეგმვისა და შეფასების კრიტერიუმების სპეციფიკაციისათვის. ენათა ფლობის ზოგადევროპული კომპეტენციები გამოიყენება, როგორც ენების თანმიმდევრულად შესწავლისა და სხვადასხვა სექტორების გამჭვირვალობის ხელშემწყობი პოლიტიკა. მრავალმა ევროპულმა ქვეყანამ წარმატებით გამოიყენა აღნიშნული კომპეტენციები სხვადასხვა საგანმანათლებლო სექტორის საგამოცდო რეფორმის განსახორციელებლად და კურიკულუმების შესაქმნელად.

3. 1. ენათა ფლობის ზოგადევროპული კომპეტენციების დესკრიფციული სკალა

ენათა ფლობის ზოგადევროპული კომპეტენციები უპირატესობას ანიჭებს ენის გამოყენებისა და შესწავლის აქტივობებზე ორიენტირებულ მიდგომებს. დესკრიფციული სკალა ფოკუსირებულია პირის მიერ შესრულებულ აქტივობებზე, რომლებიც, როგორც ცალკეული ინდივიდი ან სოციალური აგენტი, ხელს უწყობს მთელი რიგი ზოგადი და კომუნიკაციური კომპეტენციების განვითარებას.

ენის შემსწავლელის / გამომყენებლის ზოგადი კომპეტენციები შედგება ოთხი ქვეკატეგორიისგან:

- **დეკლარაციული ცოდნა (savoir)** გამოცდილების შედეგად მიიღწევა (ემპირიული ცოდნა) ან ფორმალური სწავლება (აკადემიური ცოდნა);

- **უნარები და „ნოუ-ჰაუ“ (savoir-faire)** გულისხმობს სხვადასხვა დავალებისა და პროცედურების შესრულების უნარებს;
- **ეგზისტენციური კომპეტენციები (savoir-entre)** მოიცავს ინდივიდუალურ მახასიათებლებს, პიროვნულ თვისებებსა და სხვებისადმი დამოკიდებულებას სოციალური ინტერაქციის დროს;
- **სწავლის უნარი (savoir apprendre)** შექმნილი გამოცდილების მიღებისა და უკვე არსებული ცოდნის ახალთან ინტეგრირების უნარი.

ენის შემსწავლელის კომუნიკაციური კომპეტენციები მოიცავს ცოდნას, უნარებსა და ნოუ-ჰაუს ქვემოთ ჩამოვლილი სამი კომპონენტისათვის:

- **ლინგვისტური კომპეტენციები** გულისხმობს ენის ფორმალურ მახასიათებლებს - ფონოლოგია, მორფოლოგია, ლექსიკონი და სინტაქსი;
- **სოციოლინგვისტური კომპეტენციები** დაკავშირებულია ენის გამოყენების სოციოკულტურულ პირობებთან, როგორცაა ზრდილობიანი ფორმები ან სხვადასხვა სოციალური ჯგუფის რეპერტუარი;
- **პრაგმატული კომპეტენციები** ნიშნავს ენის ფუნქციონალურ გამოყენებას, მაგალითისათვის: სპეციალური სცენარი, თუ როგორ უნდა მოვიქცეთ კონკრეტულ სოციალურ ღონისძიებასა ან ინტერვიუსზე.

ენის ზოგადი და კომუნიკაციური კომპეტენციების საფუძველზე, ენის შემსწავლელი იყენებს იმ უნარებსა და სტრატეგიებს, რომლებიც მოსახერხებელია ქვემოთ მოყვანილი წერითი თუ ზეპირი ენობრივი აქტივობების შესასრულებლად:

- რეცეფცია;
- პროდუცირება;
- ინტერაქცია;
- მედიაცია (პერიფრაზირება, დასკვნების გაკეთება, თარგმნა).

ზემოთ ჩამოთვლილი ენობრივი აქტივობების კონტექსტუალიზაცია სპეციფიკურ სფეროში გულისხმობს ენის

გამოყენების პროცესის გააქტიურებას წერიტი / ზეპირი ტექსტების პროდუცირებისა და რეცეფციის მიზნით. ენობრივი აქტივობები მიმდინარეობს ენის გამოყენების ისეთ სფეროებში როგორცაა:

- საზოგადოებრივი სფერო;
- პერსონალური სფერო;
- საგანმანათლებლო სფერო;
- დასაქმების სფერო.


ენობრივი აქტივობების შესრულებისათვის შემსწავლელმა უნდა გამოიყენოს ის სტრატეგიები, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამება კონკრეტული სფეროს ფარგლებში შესასრულებელ დავალებას. ენის გამოყენებისა და შესწავლის შედეგების თვითმონიტორინგი ხელს უწყობს კომპეტენციების გაძლიერებას ან მოდიფიკაციას.

3. 2. ენის ფლობის კომპეტენციები და უნარები (ენის პროფესიული ფლობის დონე)

ენათა ფლობის დონეების ზოგადევროპული სისტემის უფრო ეფექტური გამოყენების მიზნით მარტივი და გლობალური დაყოფა შედგება ენის გამოყენების სამი მნიშვნელოვანი დონისაგან:

- ენის ფლობის ყველაზე დაბალი დონე; კომუნიკაციის დროს გამოყენებელი დამოკიდებულია თანამოსაუბრის სურვილზე შეეწყოს მიღწეული დონე - თანამოსაუბრის დახმარება აუცილებელია;
- ენის დამოუკიდებლად გამოყენებელს შეუძლია ყოველდღიური მარტივი ფორმების გამოყენება, თუმცა შემსწავლელი კვლავ შეზღუდულია გამოსატვის ფორმების ხმარებაში - გარკვეულწილად გათვალისწინებული უნდა იყოს ის ფაქტი, რომ ენა, რომელზეც შემსწავლელი საუბრობს, არ არის მისი მშობლიური ენა;
- ენის პროფესიულ ფლობის დონე. ამ შემთხვევაში ენის გამოყენებელს არ ექმნება სირთულეები მიზნობრივი ენის გამოყენებისას - არ აქვს

მნიშვნელობა იმ ფაქტს რომ ეს არ არის გამო-
 მყენებლის მშობლიური ენა.
 ზოგადევროპული ენის პოლიტიკა ითვალისწინებს ენათა
 ფლობის ექვს დონიან სისტემას:



ენის გამოყენების უნარი - „*შემიძლია გავაკეთო*“
 განსაზღვრავს ზემოთ მოყვანილი ენის ფლობის დონეების
 ზრდადობას. შვეიცარიის ეროვნული სამეცნიერო კვლევითი
 საბჭოს პროექტის (რომელიც 1993 - 1996 წლებში განხორ-
 ციელდა)⁶ შედეგად მივიღეთ **ენის ფლობის განმსაზღვრელი
 დონეები**. პროექტის ათვლის წერტილს წარმოადგენს საერ-
 თაშორისო წყაროებიდან მოპოვებული ენის ფლობის 41
 სკალის ანალიზი. შეირჩა ის დესკრიპტორები („შემიძლია
 გავაკეთო“), რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამება
 დესკრიფციული სკალის სხვადასხვა პარამეტრს. შემდგომში
 მათი სკალირება მოხდა ინტუიტიური, ხარისხობრივი და
 რაოდენობრივი მეთოდების კომბინაციის მეშვეობით. შედე-
 გად, ენის ფლობის ზოგადევროპული კომპეტენციების
 დესკრიფციული სკალის სრულყოფა შესაძლებელი გახდა
 თვისებრივად განსხვავებული დონის მქონე ორი ილუს-
 ტრაციული კომპეტენციის სკალის მეშვეობით:

- ენათა ფლობის ზოგადევროპული კომპეტენციების
 გლობალური სკალა;
- თვითშეფასების ტაბულა.

ცხრილში წარმოდგენილია B1 და B2 დონეების
 გლობალური სპეციფიკაციის ნიმუში (ენის დამოუკიდებლად
 ფლობა):

⁶ North, B.: 2000, The development of a common framework scale of language proficiency, New
 York: Lang.

B2	ენის გამოყენებელს ესმის როგორც კონკრეტული, ასევე აბსტრაქტული შინაარსის მქონე რთული ტექსტი; მონაწილეობას იღებს მის სპეციალობასთან დაკავშირებულ ტექნიკური ხასიათის დისკუსიებში; ენის გამოყენებელს შეუძლია ინტერაქცია ყოველგვარი დაძაბულობის გარეშე თანამოსაუბრესთან, რომლისთვისაც ეს ენა მშობლიურია; ამ დონეზე მყოფ შემსწავლელს შეუძლია ისაუბროს სხვადასხვა თემაზე, შეუძლია საკუთარი კომენტარებისა და შეხედულებების დემონსტრირება უარყოფით და დადებით არგუმენტებზე დაყრდნობით.
----	--

B1	ენის ფლობის ამ დონეზე შემსწავლელს ესმის მსჯელობის ძირითადი არსი მისთვის ნაცნობ, სტანდარტულ თემებზე. შეუძლია თავი გაართვას ისეთ სიტუაციებს, რომლებიც თავს იჩენს მოგზაურობის დროს იმ ადგილებში, სადაც ამ ენაზე საუბრობენ. შეუძლია შეადგინოს მარტივი ტექსტი მისთვის ნაცნობ თემაზე. შეუძლია აღწეროს მიღებული გამოცდილება ან ღონისძიება, ოცნებები, იმედები და ამბიციები. შეუძლია მოკლედ ჩამოაყალიბოს თავისი გადაწყვეტილების მიზეზები და ახსნა-განმარტებები მათ თაობაზე.
----	--

ენათა ფლობის ზოგადვერობული კომპეტენციები („შემიძლია გავაკეთო“ დესკრიპტორთა მეშვეობით) გაგების, მეტყველებისა და წერისათვის წარმოდგენილია დესკრიპტორთა შემდეგ სკალაში:

- მოსმენა;
- კითხვა;
- სამეტყველო ინტერაქცია;
- წერითი ინტერაქცია;
- სამეტყველო პროდუცირება;
- წერითი პროდუცირება.

ამ ექვსი ენობრივი აქტივობის ენათა ფლობის ექვს პროფესიულ დონესთან დაკავშირების შედეგად მივიღებთ თვითშეფასების ტაბულას სწავლის შედეგების ზოგადი დესკრიპტორების გამოყენებით. მაგალითად, მოსმენის

ზოგადი დესკრიპტორი ენის შესწავლის ელემენტარულ ანუ A1 დონეზე ფორმულირებულია შემდეგნაირად:

მე ამოვიცნობ ნაცნობ სიტყვებს და ელემენტარულ ფრაზებს, რომლებიც დაკავშირებულია ჩემთან, ჩემს ოჯახთან. მესმის, როცა ჩემ ირგვლივ ხალხი საუბრობს ნელა და გასაგებად.

ქვემოთ მოყვანილია ზოგადი დესკრიპტორი, რომელიც გამოიყენება ენის ფლობის სრულყოფილ დონეზე (C2) კითხვითი ქმედებების დროს:

თავისუფლად ვკითხულობ ლინგვისტურად რთულ ტექსტებს, სახელმძღვანელოებს, სპეციალიზებულ სტატიებს და მხატვრულ ნაწარმოებებს.

ენათა ფლობის ზოგადევროპული კომპეტენციების გლობალური სკალები დეტალურად წარმოდგენილია 54 სპეციფიკური დესკრიპტორის მეშვეობით. ქვემოთ მოყვანილია ენის შემსწავლელის / გამომყენებლის ენის ფლობის ელემენტარულ დონეზე მოსმენის ქმედებებისათვის სპეციფიკური დესკრიპტორები⁷:

მე მესმის, თუ როგორ უნდა მივიღე X პუნქტიდან Y პუნქტამდე ფეხით ან საზოგადოებრივი ტრანსპორტით. მე მესმის რიცხვები, ფასები და დრო.

ენათა ფლობის ზოგადევროპული კომპეტენციების შექმნილია ყველა ენისათვის და არა რომელიმე კონკრეტული ენისათვის; იგი აღწერს, თუ რის გაკეთება შეუძლია შემსწავლელს უცხო ან მეორე ენაზე. ენათა ფლობის ზოგადევროპული კომპეტენციების, კერძოდ კი ინდივიდუალური ენების ლინგვისტური თავისებურებები აღწერილია გამოკვლევაში „ეროვნულ ან რეგიონულ ენათა ფლობის დესკრიპტორები“ (Profile Deutsch or B2 pour le français). ენათა

⁷ More detailed information on general and specific descriptors can be found in the studies of North & Schneider (1998) and North (2000).

ფლობის ზოგადევროპული კომპეტენციები სხვადასხვა ენისათვის წარმოდგენილია DVD-სა და CD-ROM-ებზე (სამეტყველო და წერითი ქმედებების მაგალითები და უნარების ფლობის შესამოწმებელი მეთოდები, ენათა ფლობის ზოგადევროპული კომპეტენციების სტანდარტები). დოკუმენტები და მეთოდები წარმოადგენს ევროსაბჭოს ენის პოლიტიკის განყოფილების მიერ შექმნილი სტანდარტების ნაწილს⁸. აღსანიშნავია ევროკომისიის დიდი წვლილი ენათა ფლობის ზოგადევროპული კომპეტენციების განვითარების საქმეში⁹. მისი მხარდაჭერით იქმნება ინგლისური, ფრანგული და გერმანული ენების B1 დონის კითხვითი და მოსმენის აქტივობების დესკრიპტორთა ბაზა¹⁰.

4. სტუდენტთა საერთაშორისო შეფასების პროგრამა (PISA)

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის პროგრამა „სტუდენტთა საერთაშორისო შეფასება“ წარმოადგენს საერთაშორისო შეფასების სტანდარტულ სქემას, რომელიც ერთობლივად შეიმუშავეს მონაწილე ქვეყნებმა და გამიზნულია 15 წლის სკოლის მოწაფეებისათვის. შეფასების პირველი ციკლი ჩატარდა 2000 წელს 43 ქვეყანაში, ხოლო მეორე ციკლი 41 ქვეყანაში 2003 წელს. 2006 წელს ჩატარდება შეფასების მესამე ციკლი, რომელშიც, სავარაუდოდ, მონაწილეობას მიიღებს 58 ქვეყანა. ტესტირებაში მონაწილეობას მიიღებს 4500-დან 10 000 მოსწავლემდე თითოეული ქვეყნიდან (მესამე ციკლი უკვე ჩატარდა – რედაქტორის შენიშვნა). სტუდენტთა საერთაშორისო შეფასება სამი ეტაპისგან შედგება და მოიცავს მოწაფეთა კითხვის, მათემატიკური და საბუნებისმეტყველო საგნების ცოდნის შეფასებას. 2000 წელს პროგრამის მთავარ მიზანს წარმოადგენდა კითხვის (მშობლიურ ენაზე ან სასკოლო განათლების ენაზე) უნარების შეფასება. 2003 წელს პრო-

⁸ More information on these and related projects can be found on: www.coe.int/lang and www.coe.int/portfolio

⁹ OECD 2003: 9

¹⁰ More information on PISA can be found on: www.pisa.oecd.org/

გრამის მიზანი იყო მათემატიკის ცოდნისა და პრობლემის გადაჭრის უნარების შეფასება. 2006 წლის პროგრამამ შეაფასა საბუნებისმეტყველო საგნების ცოდნის დონე.

PISA ამოწმებს, თუ როგორ აითვისეს მოსწავლეებმა საგანდებულო განათლების დასასრულს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის მისაღებად აუცილებელი უნარ-ჩვევები და ცოდნა. შეფასება ეფუძნება „მუდმივი განათლების დინამიურ მოდელს“, რომლის მიხედვითაც, სწრაფად ცვალებად მსოფლიოში წარმატებით ადაპტაციისათვის აუცილებელია მუდმივად ახალი ცოდნისა და უნარების მიღება / დაუფლება. პროგრამა მოიცავს იმ საკითხებს, რომლებიც აუცილებლად დასჭირდება 15 წლის მოზარდს მომავალში და ცდილობს შეაფასოს, თუ რაში გამოიყენებს მოსწავლე სკოლაში შეძენილ ცოდნასა და უნარებს.

პროგრამის მთავარი მიზნებია:

- საგანმანათლებლო სისტემის შედეგების მონიტორინგი;
- საგანმანათლებლო პოლიტიკის შესახებ თანამშრომლობის უზრუნველყოფა;
- სტანდარტების განვითარებისა და შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბება;
- განათლების პოლიტიკის შეცვლს და სწავლის შედეგებზე ორიენტირებული სწავლებისთვის ხელის შეწყობა.

მოცემული შედეგები უპირატესობას ანიჭებს ცოდნის შეფასების ხუთ პროფესიული დონეს (კითხვის უნარ-ჩვევების ფლობა). დონეები წარმოდგენილია ხუთი ქვესკალით და ერთი კომბინირებული სკალით. თითოეული დონისათვის მოცემულია ილუსტრირებული დესკრიპტორი (მსგავსად „შემიძლია გავაკეთო“ დესკრიპტორისა).

4. 1. PISA - ცოდნის განმარტება

სტუდენტთა საერთაშორისო შეფასებას საფუძვლად უდევს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის „აღამიანური კაპიტალის“ კონცეფცია „ცოდნა, უნარ-ჩვევები, კომპეტენციები და სხვა პერსონიფიცირებული ატრიბუტები შეესაბამება პიროვნულ, სოციალურ და ეკონომიკურ კეთილდღეობას“¹¹. პროგრამის მიზანია შეაფასოს, რამდენად კარგად არიან 15 წლის მოზარდები მომზადებული, უპასუხონ დღევანდელი საზოგადოების გამოწვევას. ცოდნა განისაზღვრება, როგორც მეთოდების დაუფლების, იდების გაგების და სხვადასხვა სოციალურ კონტექსტში ფუნქციონირების უნარი.

4. 2. PISA - კითხვის უნარების ფლობა

პროგრამის ფარგლებში კითხვის უნარები განისაზღვრება, როგორც *„შესაძლებლობა, გაიგო, გამოიყენო და ასახო წერილობითი ტექსტები, მიაღწიო დასახულ მიზანს, განავითარო ცოდნა და პოტენციალი, მონაწილეობა მიიღო საზოგადოებრივ ცხოვრებაში“*¹². ტესტირებაში მონაწილეთა კითხვის უნარების ფლობა შეფასდა მეთოდებთან, შინაარსთან და კონტექსტთან მიმართებით (მსგავსად ენის ფლობის ზოგადევროპული კომპეტენციების მიხედვით ენის გამოყენების არეალისა). ტესტების შესადგენად გამოყენებულ იქნა შემდეგი ქვეკატეგორიები:

მეთოდები / პროცესები (კითხვის უნარების ასპექტები)

- ვრცელი ინფორმაციის ფორმირება;
- ინფორმაციის მიღება;
- მიღებული ინფორმაციის ინტერპრეტაციის უნარი;
- ტექსტის შინაარსის აღქმა;
- ტექსტის ფორმის აღქმა.

¹¹ OECD 2003:14

¹² OECD 2003:15

შინაარსი (ცოდნა და გაგება)

- ე. წ. „უსრული“ ტექსტები (მხატვრული, განმარტებითი, აღწერითი, საკამათო / დამარწმუნებელი, ბრძანების / ინსტრუქციის შინაარსის მქონე ტექსტები);
- ე. წ. „სრული“ ტექსტები (ცხრილები, გრაფები, დიაგრამები, რუკები, განცხადებები).

სიტუაციის კონტექსტი

- პირადი
- საგანმანათლებლო
- პროფესიული
- საზოგადოებრივი

4. 3. კითხვის უნართა დონეები

2000 წელს ჩატარებული პირველი საერთაშორისო შეფასების შედეგების ფარგლებში გამოიკვეთა კითხვის უნარებში ფლობის 5 დონე. აღმოჩნდა, რომ მონაწილეთა 2/3-მა მიიღო 400-დან 600 ქულამდე. შეფასების საშუალო მაჩვენებელი განისაზღვრა 500 ქულით. ქვემოთ მოყვანილია შეფასების ქულები კითხვის უნარების ფლობის 5 დონისათვის:

I დონე: 335-407 ქულა

II დონე: 408-480 ქულა

III დონე: 481-553 ქულა

IV დონე: 553-625 ქულა

V დონე: 625 ქულაზე მეტი

შემდგომში კითხვის უნარების ხუთი დონე განისაზღვრა გლობალური დესკრიპტორებით, რომლებიც შემუშავდა სხვადასხვა სირთულის მქონე ტესტების სავარჯიშოების ქულების გათვალისწინებით და შედეგად მივიღეთ კითხვის უნარების ფლობის ხუთდონიანი რუკა. დესკრიპტორთა ზემოთ მოყვანილი კატეგორიები (პროცესი - შინაარსი - კონტექსტი) გაერთიანდა დესკრიპტორთა ხუთ ჯგუფში - პირველი სამი

უკავშირდება კითხვის პროცესებს / ასპექტებს, ხოლო დანარჩენი ორი – ტექსტის ფორმატს / ტიპს:

- ინფორმაციის მიღება;
- ტექსტის ინტერპრეტირება;
- რეფლექსია და შეფასება;
- ე. წ. „უსრული“ ტექსტები;
- ე. წ. „სრული“ ტექსტები (ცხრილები, გრაფები, დიაგრამები, რუკები, განცხადებები).

მე-2 დონის დესკრიპტორები¹³:

ინფორმაციის მიღება	ტექსტების ინტერპრეტირება	რეფლექცია და შეფასება
<p><i>მოთხოვნის შესაბამისად, ერთიანი კრიტერიუმის შექმნის მიზნით ინფორმაციის დალაგება. საპირისპირო ინფორმაციისათვის თავის გართმევა.</i></p>	<p><i>ტექსტის მთავარი იდეის დადგენა; ურთიერთობების გაგება; მარტივი კატეგორიების შექმნა ან გამოყენება; ტექსტის მკირე მონაკვეთის გამოყენებით შინაარსის აგება, როცა ინფორმაცია არ არის მნიშვნელოვანი ან მოკლე დასკვნებია აუცილებელი.</i></p>	<p><i>ტექსტისა და არსებული ცოდნის შედარება ან დაკავშირება. პირადი გამოცდილები-სა და დამოკიდებულებების გამოყენებით ტექსტის ხასიათის ახსნა.</i></p>
<p>ე. წ. „უსრული“ ტექსტები: პარაგრაფის ლოგიკური და ლინგვისტური ურთიერთკავშირების თანმიმდევრობა ინფორმაციის გადმოცემის მიზნით; მთლიანი ტექსტის ან ტექსტის ნაწილების სინთეზი ავტორის მიზნის გადმოსაცემად.</p>		
<p>ე. წ. „სრული“ ტექსტები: მარტივი დიაგრამის ან ცხრილის სტრუქტურის გაგება; ცხრილის ცალკეულ გრაფაში მოცემული ინფორმაციის შეერთება (კომბინირება).</p>		

¹³ OECD 2003: 127

2000 წელს ჩატარებული შეფასების შედეგების მიხედვით, ტექსტების მოთხოვნებისა და დესკრიფციული კატეგორიების ურთიერთმიმართების ილუსტრირებისა და ტექსტის სირთულის დონის სპეციფიკური შესრულების ასახვის მიზნით შეადგინეს ტექსტების ნიმუშების რუკა. იხილეთ II დონის ნიმუშები¹⁴:

დონე 15	დავალება	პროცესების ტიპები, ასპექტები			ტექსტის ფორმატი	
		ინფორ- მაციის მიღება	ინტერ- პრე- ტირება	რე- ფლექსია და შე- ფასება	უსრული ტექსტი	სრული ტექსტი
477	დიაგრამის სტრუქტურის გაგება		0			
447	ტექსტის ში- ნაარსის მოკლედ გადმოცემის უნარი		0			

5. კვალიფიკაციის ევროპული პროგრამა - EQF

კვალიფიკაციის ევროპული პროგრამა უწყვეტი განათლებისათვის შემუშავდა ევროკომისიის პროგრამის „განათლება და ტრენინგი 2010“ ფარგლებში. დოკუმენტი გამოაქვეყნა 2005 წელს ევროკომისიის სამუშაო ჯგუფმა¹⁶. პროექტის განხორციელების მთავარი მიზანია მოქალაქეთა კვალიფიკაციის, ცოდნის გაცვლისა და აღიარების ხელშეწყობა კვალიფიკაციის სისტემის ეროვნულ და სექტორულ დონეებზე. პროგრამის განხორციელება საშუალებას მისცემს ევროპის მოქალაქეებს, შეიძინონ ცოდნა და აიმაღლონ კვალიფიკაცია ევროპის სხვა ქვეყნებში კრედიტის გაცვლის

¹⁴ OECD 2003: 124

¹⁵ indicating the difficulty level of the item

¹⁶ Commission of the European Communities SEC (2005) 957. Here: EU 2005b

ევროპული სისტემისა და **ევროპასის (Europass)** ფარგლებში. 2005 წელს ევროსაბჭომ ჩაატარა კონსულტაციები წევრ ქვეყნებში კვალიფიკაციის ევროპული პროგრამის თაობაზე. 2006 წლის თებერვალში ბუდაპეშტში უნგრეთის განათლების სამინისტროსა და ევროკომისიის ინიციატივით ჩატარდა ერთობლივი კონფერენცია, რომელზეც მონაწილე მხარეებმა შეიმუშავეს ერთობლივი რეკომენდაციები. რეკომენდაციებში საზგასმით აღინიშნა კომპეტენციების დესკრიპტორთა გამარტივებისა და გაუმჯობესების აუცილებლობა. 2006 წლის სექტემბერში ევროკომისიამ მიიღო ევროპარლამენტისა და ევროპის საბჭოს მიერ ერთობლივად შემუშავებული განაცხადი კვალიფიკაციის ევროპული სისტემის დაარსების შესახებ (EQF)¹⁷. რეკომენდაციების თანახმად, წევრმა ქვეყნებმა თავიანთი ეროვნული კვალიფიკაციის სისტემები 2009 წლისათვის უნდა შეუსაბამონ კვალიფიკაციის ევროპულ პროგრამას. პროგრამის თანახმად, წევრ ქვეყნებს მოეთხოვებათ ადგილობრივი ცენტრების შექმნა, რომლებიც კოორდინაციას გაუწევენ ადგილობრივი კვალიფიკაციის სისტემებისა და კვალიფიკაციის ევროპული პროგრამის თანამშრომლობას.

კვალიფიკაციის ევროპული პროგრამის ძირითადი მიზნებია:

- კვალიფიკაციების ურთიერთდაკავშირება;
- კვალიფიკაციის გაზიარება და აღიარება;
- მონაწილე ქვეყნებს შორის ნდობის მოპოვება და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა;
- ხარისხის უზრუნველყოფის ხელშეწყობა.

პროგრამის კომპეტენციების დესკრიპტორების საფუძველს სწავლის შედეგები წარმოადგენს და გულისხმობს ცოდნას, უნარებს, პიროვნულ და პროფესიულ კომპეტენციებს, პასუხისმგებლობას, სწავლის კომპეტენციებს, კომუნიკაციასა და სოციალურ კომპეტენციებს¹⁸. შედეგები იყოფა რვა დონიან სკალებად და ასახავენ უწყვეტი განათლების საფეხურებს. კვალიფიკაციის რვა დონე მოიცავს უნარებს,

¹⁷ Commission of the European Communities, COM(2006) 479. Here: EU 2006

¹⁸ In the final version of the proposal 'competence' is described only in terms of 'responsibility and autonomy', EU 2006:17

რომლებსაც ვიძენთ სავალდებულო განათლების დასრულების შემდეგ, აკადემიური და პროფესიული განათლების ჩათვლით. დონეები წარმოდგენილია სამი სკალით. თითოეული სკალა აღწერს უნარების შესაბამის დონეს, განათლების კონტექსტის და მათი ღირებულების (აღიარების) შესაბამისად¹⁹. რვა ძირითადი კომპეტენციის შესწავლა, განახლება და შენარჩუნება ცხოვრების მანძილზე ინტეგრირებულია მეორე დონეში.

5. 1. კვალიფიკაციის ევროპული პროგრამა - ელემენტები

კვალიფიკაციის ევროპული პროგრამის ძირითადი ელემენტებია:

- ზოგადი კომპეტენციები;
- საშუალებები და მეთოდები;
- საერთო პრინციპებისა და პროცედურების ნაკრები (ხარისხის უზრუნველყოფა, ფორმალური და არაფორმალური სწავლების განმტკიცება, ხელმძღვანელობა და განხილვა, ძირითადი კომპეტენციების განვითარების ხელშეწყობა).

ზოგადი კომპეტენციები მოცემულია რვა დონის სახით. თითოეული მათგანი წარმოდგენილია სამი სკალით. მათი მიღწევა შესაძლებელია ქვემოთ მოცემული საშუალებებისა და მეთოდების გამოყენებით:

- ევროპული ინტეგრირებული კრედიტების გაცვლისა და უწყვეტი განათლების დაგროვების სისტემა (ECTS²⁰ უმაღლესი განათლებისათვის და ECVET²¹ პროფესიული განათლებისა და ტრენინგებისათვის);
- **ევროპის სქემა**, რომელიც შეიცავს:
 - რეზიუმეს;
 - პასპორტის ენას;
 - სერტიფიკატის დანართს;

¹⁹ In the final version of the proposal only one scale is used – specifying learning outcomes in terms of ‘knowledge’, ‘skills’ and ‘competence’, relevant to each of the eight level. EU 2006:Annex I

²⁰ www.ec.europa.eu/education/programmes/socrates/ects/index_en.html

²¹ www.ecvetconnexion.com/

- დიპლომის დანართს;
- ევროპასისის მობილობას²² .
- სწავლის შესაძლებლობების საინფორმაციო ბაზას (პლოტეუსის ინტერნეტპორტალი ევროპის ფარგლებში სწავლის შესაძლებლობების შესახებ)²³.

5. 2. კვალიფიკაციის ევროპული პროგრამა - დონეები და სკალები

ქვემოთ მოცემულია განათლების საფეხურებთან დაკავშირებული კვალიფიკაციის 8 დონე;

I-II დონე - სავალდებულო განათლება;

III - საშუალო განათლების ანუ მოზარდთა განათლების ზედა საფეხური;

IV - საშუალო განათლების ზედა საფეხურის დასასრული „გზა უმაღლესი განათლებისაკენ“;

V - სავალდებულო განათლების დასასრული ანუ უმაღლესი განათლების პირველი ციკლი;

VI - უმაღლესი განათლება, პირველი ციკლი (ბაკალავრი);

VII - უმაღლესი განათლების მეორე ციკლი (მაგისტრატურა);

VIII - უმაღლესი განათლების მესამე ციკლი (დოქტორანტურა)²⁴.

ქვემოთ მოყვანილი სამი სკალა წარმოადგენს თითოეული დონის დეტალურ აღწერას (სპეციფიკატორს):

- უნარების დესკრიპტორები;
- დამხმარე ინფორმაცია (განათლების კონტექსტი);

²² By 2011, all new qualifications and Europass documents, in particular the diploma supplement and the certificate supplement, should contain a clear reference to the appropriate EQF level. For more information on Europass please consult: www.europass.cedefop.europa.eu/

²³ www.europa.eu.int/ploteus/portal/home.jsp

²⁴ Levels 5-8 contain a clear reference to – without being identical with – the levels defined in the framework for the European Higher Education Area (EHEA) in the context of Bologna process (www.bologna-bergen2005.no/).

- კვალიფიკაციის ინდიკატორები.

5. 3. კვალიფიკაციის ევროპული პროგრამა

- ძირითადი კომპეტენციები

პროგრამის მეორე დონე გულისხმობს ქვესტრუქტურას კომპეტენციებისათვის, რომლებიც დამახასიათებელია სავალდებულო განათლების დასრულებისთვის, შექნილია ცხოვრების მანძილზე²⁵. კომპეტენციების ეს დონე შემუშავდა ეროვნული პოლიტიკის ხელშეწყობის მიზნით, როგორც ევროკავშირის ლისაბონის სტრატეგიის „განათლება და სტრატეგია 2010“ ნაწილი.

შემდეგი რვა კვალიფიკაცია აღიარებულია, როგორც პროგრამის ძირითადი კომპეტენციები:

- კომუნიკაცია მშობლიურ ენაზე²⁶;
- კომუნიკაცია უცხო ენაზე;
- მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო საგნების ფლობის კომპეტენციები;
- ციფრული კომპეტენციები;
- სწავლის სწავლა;
- შიდაპიროვნული, კულტურულ-სოციალური, სამოქალაქო კომპეტენციები;
- სამეწარმეო კომპეტენციები;
- კულტურული ასპექტები.

თითოეული კომპეტენცია განხილულია სამი კატეგორიის ფარგლებში:

- ცოდნა;
- უნარები;
- მიდგომა.

²⁵ Listed initially under ‘skills’ on Level 2 of the eight reference levels of the EQF and subject for a separate recommendation proposal - COM(2005) 548 (here: EU 2005b)

²⁶ “It is recognised that the mother tongue may not in all cases be an official language of the Member State and that ability to communicate in an official language is a pre-condition for ensuring full participation of the individual in society.” (EC 2005b: 13)

5. 3. 1. კვალიფიკაციის ევროპული პროგრამა - კომუნიკაცია მშობლიურ ენაზე

კომუნიკაციის უნარი მშობლიურ ენაზე განისაზღვრა, როგორც „შესაძლებლობა, გადმოვცეთ საკუთარი აზრები, გრძნობები, ფაქტები წერილობითი და ზეპირი ფორმით (მოსმენა, საუბარი, კითხვა და წერა) და სოციალურ და კულტურულ გარემოში ლინგვისტურად შესაბამისი ფორმით ინტერაქციის უნარი - განათლება, სამუშაო, სახლი და დასვენება“²⁷.

აღნიშნული კომპეტენციები აღწერილია ქვემოთ მოყვანილი სამი დესკრიპტორის საშუალებით:

- ძირითადი ლექსიკის, ფუნქციური გრამატიკის, ენის ფუნქციების, ძირითადი ვერბალური ინტერაქციების, ლიტერატურული და არალიტერატურული ტექსტების, სხვადასხვა სტილის და რეესტრების **ცოდნა**; სხვადასხვა კონტექსტში ენისა და კომუნიკაციის შეცვლის უნარი;
- სხვადასხვა კომუნიკაციურ სიტუაციაში ზეპირი და წერითი კომუნიკაციისა და საკუთარი კომუნიკაციის სიტუაციის მოთხოვნების მონიტორინგისა და ადაპტაციის **უნარი**; სხვადასხვა ტიპის ტექსტების, კვლევებისა და ინფორმაციის შეგროვების უნარი; შესაძლებლობა, გამოხატოს საკუთარი არგუმენტები შესაბამისი ფორმით;
- მშობლიურ ენაზე კომუნიკაციისადმი დადებითი პოზიცია: კონსტრუქციული და კრიტიკული დიალოგების დისპოზიცია, ესთეტიკური თვისებების დაფასება, მათკენ მისწრაფება და სხვებთან ურთიერთობის სურვილი.

²⁷ EC 2005b: 13

5. 3. 2. კვალიფიკაციის ევროპული პროგრამა - კომუნიკაცია უცხო ენაზე

კომუნიკაციის უნარი უცხო ენაზე განისაზღვრა მსგავსად კომუნიკაციისა მშობლიურ ენაზე, მხოლოდ მცირე დამატებითი განმარტებებით - „მედიტაციისა და ინტერკულტურული ურთიერთგაგების უნარები“. განისაზღვრა, რომ „ენის ფლობა პროფესიულ დონეზე იცვლება ოთხი განზომილების (მოსმენა, საუბარი, კითხვა და წერა), სხვადასხვა ენების, გარემოს, მოთხოვნებისა და ინტერესების მიხედვით“²⁸.

კომპეტენციის ეს დონე, მსგავსად მშობლიურ ენაზე კომუნიკაციისა, განისაზღვრება შემდეგი სამი დესკრიპტორით:

- ძირითადი ლექსიკის, ფუნქციური გრამატიკის, ენის ფუნქციების, ძირითადი ვერბალური ინტერაქციებისა და რეგისტრების ცოდნა; სოციალური პირობითობის, კულტურული ასპექტების და ენის ცვალებადობის ცოდნა;
- საუბრის გაგების, დიალოგების წარმართვის და დასრულების, ინდივიდუალური მოთხოვნების შესაბამისი ტექსტების წაკითხვისა და გაგების უნარი; ენის არაფორმალური შესწავლა, როგორც მუდმივი განათლების ნაწილი;
- პოზიტიური დამოკიდებულება გულისხმობს კულტურული მრავალფეროვნებისა და განსხვავების შეფასებას; ენების შესწავლის ინტერესსა და ინტერკულტურული ურთიერთობის სურვილს.

²⁸ EC 2005b: 14. In a 2004 report of the Working Group it has been recommended that the levels of proficiency to be aimed at should be in accordance with those described in the CEFR.

6. შედარებითი ანალიზი

	ენათა ფლობის ზოგადევროპული კომპეტენციები (CEFR)	სტუდენტთა საერთაშორისო შეფასების პროგრამა (PISA)	კვალიფიკაციის ევროპული პროგრამა (EQF-Key Competences)
ფუნქციები	დეკრიფციული მეტა-პროგრამა.	საერთაშორისო შეფასების პროგრამა.	დეკრიფციული მეტა-პროგრამა.
მიდგომა	კომპეტენციებზე და აქტივობებზე ორიენტირებული.	კომპეტენციებზე ორიენტირებული	სწავლის შედეგებზე ორიენტირებული.
აღწერის საგანი	უცხო / მეორე ენის გამოყენება; განყენებული / შემსწავლელი.	კითხვის უნარების ფლობა.	ენის კომპეტენციები (მშობლიურ ენაზე და უცხო ენაზე), როგორც კვალიფიკაცია.
დეკრიპტორთა კატეგორიები	ზოგადი კომპეტენციები, კომუნიკაციური ენის კომპეტენციები, ენობრივი აქტივობები და სტრატეგიები, ამოცანები და მიზნები, სფეროები, ტექსტების ტიპები, სიტუაციები (გამოყენების კონტექსტი), პირობები და წინააღმდეგობები.	კითხვის პროცესები, კითხვის შინაარსის ცოდნა და გაგება, ტექსტის ტიპები და სიტუაციის კონტექსტი.	ცოდნა, უნარები, მიდგომები.
დონეები	ენის ფლობის 6 ძირითადი დონე (3 ქვე-დონე).	კითხვის უნარების ფლობის 5 დონე.	II დონე (სავალდებულო სწავლების დასასრული) კვალიფიკაციის 8 დონიანი სკალა (უკავშირდება განათლების საფეხურებს).
სკალები	გლობალური სკალა, ოტაჟ-შეფასების სკალა, ილუსტრირებული დესკრიპტორთა 54 სკალა.	კითხვის უნარების დონეების რუკა 5 ქვე-სკალით; შედგენილი საკითხების რუკა.	EQF-ის სკალები: უნარების დესკრიპტორები; დამატებითი ინფორმაცია (საგანმანათლებლო კონტექსტი); კვალიფიკაციის ინდიკატორები.

ენათა ფლობის ზოგადევროპული კომპეტენციების ევროპული პროგრამების მიმართულებები მუდმივად ვი-

თარღება და ფართოვდება. მონაწილე ქვეყნებს, რომლებიც თანამშრომლობენ ენობრივი განათლების სფეროში, შეუძლიათ გამოიყენონ დესკრიფციული ორი მეტა-პროგრამა: უცხო ენების სრულყოფილი (ამომწურავი) სწავლის, სწავლებისა და შეფასებისათვის (**CEFR**); მშობლიურ და უცხო ენის კომპეტენციები, როგორც უწყვეტი განათლების ძირითადი კვალიფიკაციები (**EQF-Key Competences**); სტუდენტთა საერთაშორისო შეფასების პროგრამა, როგორც ენის ფლობის კომპეტენციების საერთაშორისო შეფასების პროგრამა.

ენათა ფლობის ზოგადევროპული კომპეტენციები და სტუდენტთა საერთაშორისო შეფასების პროგრამა კომპეტენციებზეა ორიენტირებული, ხოლო კვალიფიკაციის ევროპული პროგრამის საფუძველს სწავლის შედეგები წარმოადგენს (სავალდებულო განათლების ბოლოს მიღებული ცოდნა).

7. დასკვნა

სამივე პროგრამის ელემენტების ანალიზის შედეგად მივიღეთ ენათა ფლობის კომპეტენციების შემდეგი სტრუქტურა:

- აღწერითი სკალა;
- კომპეტენციები და სკალები;
- განხორციელებისათვის აუცილებელი საშუალებები და მეთოდები;
- შეფასების სქემები;
- ხარისხის უზრუნველყოფისათვის აუცილებელი პროცედურები და მითითებები.

ევროპული კომპეტენციების სხვადასხვა მიმართულების საერთაშორისო დონეზე ინტეგრირების მიზნით თანამშრომლობის აუცილებლობა განპირობებულია არა მხოლოდ ტერმინოლოგიის გამოყენების განსხვავებულობის თვალსაზრისით (კომპეტენცია, სფერო, სიტუაცია, კონტექსტი, მიზანი), არამედ მონაწილე ევროპული ქვეყნებისათვის სრულყოფილი, თანმიმდევრული, ადვილად გამოსაყენებელი საგანმანათლებლო კონცეფციის შემუშავებისათვის.

სასკოლო განათლების ფარგლებში ენების სწავლების კომპეტენციების მიმართულებებზე მუშაობისას გამოიკვეთა შემდეგი მნიშვნელოვანი საკითხები:

- რამდენად შეესაბამება კომპეტენციაზე ორიენტირებული მიდგომა ენობრივ განათლებას?
- წარმოდგენილი სტრუქტურის რომელი ელემენტი მოითხოვს დახვეწას და შემდგომ განვითარებას?
- რომელი ელემენტი აუცილებლად დასამატებელი?
- როგორ დაეუკავშიროთ ენობრივი განათლების პროგრამა უკვე არსებულ პროგრამებს?